შპს „ქართული ტრადიციები 2011“ ქ.ქუთაისი

ნ. დუმბაძის № 59–61

შენობის კაპიტალური რემონტის (შეკეთება) და რეკონსტრუქციის შესყიდვის

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის

სატენდერო დოკუმენტაცია

ქ. ქუთაისი

2016 წელი

სარჩევი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის _____3
2. საკვალიფიკაციო მოთხოვნა _____ 4
3. ტექნიკური დოკუმენტაცია ——————————————————————————4
4. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი ——————————————6
5. ხარჯთაღრიცხვა (დანართი №1) ——————————————————————————— 12
6. ტექნიკური დავალება, სამუშაოს შესრულების პირობები და ვადები (დანართი №2) _____ 13
7. ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობებისა და ვადების შესახებ (დანართი №3) _____ 15
8. პრეტენდენტის შეთავაზება (დანართი №4) _____ 16
9. ინფორმაცია შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადების შესახებ (დანართი №5) ____ 17
10. ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოს შესრულების შესახებ _____ 18

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების შესაბამისად.

1.2. ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

1.5. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.6. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონული სისტემაში სატენდერო წინადადების (ტექნიკური დოკუმენტაცია და სატენდერო წინადადების ფასი) წარდგენით პრეტენდენტი ავტომატურად ადასტურებს თანხმობას, შემსყიდველის მიერ სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებზე.

2. საკვალიფიკაციო მოთხოვნა

2.1. საკვალიფიკაციო მოთხოვნა არ გამოიყენება

3. ტექნიკური დოკუმენტაცია:

ტექნიკური დოკუმენტაცია

1. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება, სამუშაოს შესრულების პირობები და ვადები:
   1.1. ტექნიკური დავალება განსაზღვრულია დანართი №2-ით, გასაწევი სამუშაოს ჩამონათვალი განსაზღვრულია დანართი №1-ით (ხარჯთაღრიცხვით).
   1.2. სამუშაოს შესრულების პირობები და ვადები განსაზღვრულია დანართი №2-ით.
   1.3. სატენდერო წინადადების ფასი:
      1.3.1. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს სატენდერო წინადადების ფასი და ხარჯთაღრიცხვა დანართი №1–ის მიხედვით.
      1.3.2. სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს ლარში, მიმწოდებლისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით, ხარჯები უნდა მოიცავდეს სამშენებლო ნარჩენებისა და მასალებისგან სამშენებლო ობიექტის გათავისუფლებისა და დასუფთავების ხარჯებსაც. ხარჯები, რომელიც არ იქნება გათვალისწინებული სატენდერო წინადადების ფასში არ ანაზღაურდება.
   1.4. პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი ინფორმაცია:

ა) პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინოს სატენდერო წინადადების ფასი, ხარჯთაღრიცხვა დანართი №1-ის (იხ. სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №2) მიხედვით.

პრეტენდენტმა დანართი №1–ში უნდა შეავსოს მხოლოდ ის გრაფები, რომელიც ივსება პრეტენდენტის მიერ, ხოლო სხვა დანარჩენი ინფორმაციის შეცვლის უფლება პრეტენდენტს არ გააჩნია და უნდა დაეთანხმოს შემსყიდველის მოთხოვნებს.

პრეტენდენტმა დანართი №1–ის შევსებისას უნდა გაითვალისწინოს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის– სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ

დანართი №1 წარმოდგენილი უნდა იყოს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ფორმისა და შინაარსის დაცვით.

ბ) თანხმობა სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ დანართი №2-ზე (ტექნიკური დავალება სამუშაოს შესრულების პირობები და ვადები)

გ) თანხმობა სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ ანგარიშსწორების პირობაზე (დანართი №3);

დ) რეკვიზიტები – დანართი №4–ის მოთხოვნათა გათვალისწინებით;

ე) თანხმობა სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადების შესახებ (დანართი №5);

ვ) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოს შესრულების შესახებ (დანართი№6);

ზ) სატენდერო წინადადების ხელის მომწერისათვის უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული მინდობილობა (საჭიროების შემთხვევაში).

1.4. პუნქტში ჩამოთვლილი ინფორმაციის ყველა გვერდი ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ .

2. ანგარიშსწორების პირობები:

ანგარიშსწორების პირობები და ვადები განსაზღვრულია დანართი №3-ის მიხედვით

3. დაფინანსების წყარო - საკუთარი შემოსავლები

4. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება : 11000 (თერთმეტი ათასი) ლარი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის და მოსაკრებელის გათვალისწინებით.
5. იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისაგან ითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, შესაძლებელია დასაბუთდეს ექსპერტიზის დასკვნით, შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით, ანგარიშფაქტურით (ინვოისით) ან/და სხვა ისეთი დოკუმენტაციით, რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას.
6. **დამატებითი მოთხოვნები**

6.1. სატენდერო წინადადება, აგრეთვე ამ წინადადებასთან დაკავშირებული შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის გაცვლილი მთელი კორესპონდენცია და დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე.

7. **დამატებითი მოთხოვნები**

7.1. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

8. **დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირისაგან:**

სატენდერო კომისიის აპარატი – კახა კუხალაშვილი ტელ: 0 (431) 25–34–50; მობ.: 595 09 78 82;

ელ. ფოსტა: qartulitradiciebi2011@yahoo.com

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახლმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი

ქ. ქუთაისი **_____ 2016 წელი**

ერთის მხრივ, შპს „ქართული ტრადიციები 2011“, (შემდგომში `შემსყიდველი“)

წარმოდგენილი დირექტორის კახაბერი დალაქიშვილის სახით. (მისამართი: 4600, ქ.ქუთაისი, ნ. დუმბაძის ქუჩა №59-61,

მეორეს მხრივ _____ , (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის _____ სახით, (მისამართი: _____),

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის და პრეტენდენტის (მისი დასახელება) სატენდერო წინადადების საფუძველზე, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომში _ “ხელშეკრულება”) _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. “ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. “შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომში “შემსყიდველი”) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. “მიმწოდებელი” ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ახორციელებს სამუშაოებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 “დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.6 „ტექნიკური დოკუმენტაცია“ – მიმწოდებლის მიერ ელექტრონულ ტენდერში სატენდერო

წინადადებით წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2.ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

2.1 ხელშეკრულების ობიექტია შენობის კაპიტალური რემონტის (შეკეთება) და რეკონსტრუქციის მომსახურების შესყიდვა.

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში.

2.3 კლასიფიკატორის კოდი–45400000

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 გასაწევი მომსახურების ჯამური ღირებულება შეადგენს _____ ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. სტანდარტები

4.1 ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ დავალებაში მითითებულ სტანდარტებს.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

5.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული მომსახურების და წუნდების მიზეზების მითითებით;

5.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

5.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ შპს „ქართული ტრადიციები 2011“-ს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული თანამშრომლები (ინსპექტირების ჯგუფი).

6. მომსახურების გაწევის პირობები და ვადები

6.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება მიმწოდებლის ტექნიკურ დავალებაში ასახული პირობების შესაბამისად.

6.2. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს ხელშეკრულების პირობებში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

6.3 მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 25 აპრილის ჩათვლით.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით და შესაბამისი, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ფინანსური დოკუმენტაციის წარმოდგენით. (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების 5.4 პუნქტში მითითებული პირები).

7.3 მიმწოდებლის მიერ მიწოდებული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღების ფაქტიური დადასტურების შემდეგ.

8. გარანტია

8.1 მიმწოდებელი იძლევა გაწეული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებისადმი შესაბამისობის გარანტიას.

9. ანგარიშწორება და ვალუტა

9.1 ანგარიშსწორება ხორციელდება მიმწოდებლის წერილობითი მომართვის საფუძველზე, რომელსაც უნდა დაერთოს:

ა) ფაქტიურად გაწეული მომსახურების მოცულობა და ღირებულება;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი საფინანსო დოკუმენტაცია.

9.2 ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო (გადარიცხვა);

9.3 ანგარიშსწორების ვადაა ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად მიმწოდებლის მიერ დოკუმენტების წარმოდგენიდან 7 სამუშაო დღე.

9.4 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

10.ფასები

10.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებაში მითითებული ფასი არ უნდა აღემატებოდეს მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირებულ საბოლოო ფასს;

11.ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

11.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.2 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

11.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. უფლებების გადაცემა

13.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება–მოვალეობები.

14. სუბკონტრაქტორები

14.1 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დასადები ყველა სუბკონტრაქტი უნდა გაფორმდეს მიმწოდებლის სატენდერო წინადადებაში მითითებული მონაცემების მიხედვით.

14.2 იმ შემთხვევაში, თუ სუბკონტრაქტის დადების ან სუბკონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

14.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

14.4 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს

მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

15. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

15.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

15.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

16. მხარეთა უფლება–მოვალეობები

16.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

–ხელშეკრულების ვადის დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს მიმწოდებლისგან მისთვის საჭირო ინფორმაცია

16.2 შემსყიდველი ვალდებულია:

– უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ღიერებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.

16.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

16.4 მიმწოდებელი ვალდებულია დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

17. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

17.1 დაუძლეველი ძალის გარდა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:

– ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელი გადაიხდის ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის 10 პროცენტს;

17.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი მომსახურების ჯამური ღირებულების 0.2%–ს.

17.3 იმ შემთხვევაში თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%–ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება;

17.4 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებლის დაჯარიმების შემთხვევეაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად გაწეული მომსახურების ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში;

17.5 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისადმი;

18. ხელშეკრულების შეწყვეტა

18.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

18.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს დაუყონებლივ.

18.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

19. დაუძლეველი ძალა

19.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებლის შეუძლებლობის შესახებ;

19.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

19.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

20. სადაო საკითხების გადაწყვეტა

20.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

20.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი 30 დღეში ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

21. გამოყენებული სამართალი

21.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

22. შეტყობინება

22.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის, ფაქსის, ტელეფონის ან მეილის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

22.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

22.3 შეტყობინების უფლება შემსყიდველი ორგანიზაციიდან აქვს დირექტორს და ინსპექტირების ჯგუფის წევრებს.

23. გადასახადები და დაბეგვრა

23.1 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი

გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

24. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

24.1. წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს და განისაზღვრება ხელშეკრულების დადებიდან 2016 წლის 25 მაისის ჩათვლით.

24.2. ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი მიმწოდებელთან და 2 (ორი) პირი შემსყიდველთან.

26. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:

შპს „ქართული ტრადიციები 2011“

მის: ქ. ქუთაისი, ნ. დუმბაძის ქუჩა #59-61

ს.ს ,,თიბისი ბანკი"

ანგარიშის # GE03 TB75 5503 6020 1000 03;

ბ/კოდი: TBCBGE 22.

ს/ნ: 412681218

დირექტორი

კ. დალაქიშვილი

დანართი 1

ხარჯთაღრიცხვა

იხ. დანართი №1

პრეტენდენტი: _____

დანართი №2

ტექნიკური დავალება, სამუშაოს შესრულების პირობები და ვადები

ტექნიკური დავალება

1. პრეტენდენტმა უნდა განახორციელოს ქ. ქუთაისში, წმ. სამებას ქუჩა №80-ში მდებარე შენობა-ნაგებობის კაპიტალური რემონტის (შეკეთება) და რეკონსტრუქციის სამუშაოები. სარემონტო სამუშაოების დეტალური ჩამონათვალი მოცემულია -სატენდერო დოკუმენტაციის დანართ №1-ში (ხარჯთაღრიცხვა).

2. სამუშაო ადგილის მომზადება, გარემოს დაცვა და უსაფრთხოება: მიმწოდებელი პასუხისმგებელია სამუშაოსათვის გამოყოფილი ადგილის გამოყენებაზე და სამუშაოს დასრულების შემდეგ გარემოს საჭირო და სათანადო აღდგენაზე;

3. მიმწოდებელი პასუხისმგებელია შეასრულოს სამუშაო უსაფრთხო და ეკოლოგიურად მისაღები გზით და ვალდებულია დაიცვას შემდეგი პირობები:

ა) სამუშაოების დასრულების შემდეგ მიმწოდებელი თავისი ძალებით და სახსრებით 5 დღის განმავლობაში ვალდებულია გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა - დანადგარებისაგან, მასალებისაგან, სამშენებლო ნარჩენებისგან და ა.შ;

ბ) მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს სამუშაოებში დასაქმებული პერსონალის შრომის უსაფრთხოება და აწარმოოს სამუშაოები აღნიშნული სამუშაოებისათვის გათვალისწინებული ნორმებისა და სტანდარტების დაცვით.

გ) მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოების დაწყებამდე შემსყიდველთან შეათანხმოს საღებავისა და ლაქის ფერი; კარების ფორმა და ფერი; სანტექნიკური მოწყობილობების ფორმა; კერამიკული ფილების ფორმა და ფერი.

4. ნორმატიული დოკუმენტები:

მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს მოქმედი სამშენებლო ნორმების მიხედვით

5. სამუშაოთა წარმოების ჟურნალი

სახელშეკრულებო ობიექტზე მიმწოდებელმა უნდა აწარმოოს სამუშაოთა წარმოების ჟურნალი, სადაც ყოველდღიურად ჩაწერს დღიური შესრულებული სამუშაოების მოცულობას, შემსრულებელი პერსონალის მონაცემებს, მექანიზმების ჩამონათვალს, რომელიც მონაწილეობდა სამუშაოს შესრულებაში, ხარისხის დაცვის პროცედურებს და სხვა. შემსყიდველის ინსპექტირების ჯგუფის წევრ(ებ)ი ჟურნალში აღნიშნავს თავის შენიშვნებს, დაკვირვებებს და რეკომენდაციებს სამუშაოს წარმოების შესახებ.

6. სამუშაოთა მიღება-ჩაბარების წესი

ა) შესრულებული სამუშაოების მიღება განხორციელდება საბოლოო მიღება - ჩაბარების აქტის საფუძველზე.

ბ) სამუშაოს დასრულებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღეს მიმწოდებელი შემსყიდველს ატყობინებს სამუშაოს დასრულების შესახებ. შესრულებული სამუშაოების მიღება განხორციელდება საბოლოო ინსპექტირების დასკვნისა და შესრულებული სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. ფარული სამუშაოების ჩატარებამდე (არსებობის შემთხვევაში) არაუგვიანეს ერთი დღით ადრე მიმწოდებელი ვალდებულია შეატყობინოს შემსყიდველს ფარული სამუშაოების დაწყების კონკრეტული თარიღის შესახებ.

7. **სამუშაოს შესრულების ვადები**

სამუშაოს შესრულება უნდა დასრულდეს არაუგვიანეს 2016 წლის 26 აპრილისა, თანდართული ხარჯთაღრიცხვისა და ტექნიკური დავალების შესაბამისად.

8. **სამუშაოს შესრულების ადგილი.**

სამუშაო უნდა განხორციელდეს შემდეგ მისამართზე: **ქ. ქუთაისი, წმ.სამებას ქუჩა №80**

პრეტენდენტის ხელმოწერა და ბეჭედი (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) _____

დანართი №3

ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობებისა და ვადების შესახებ

- ანგარიშსწორება განხორციელდეს უნაღდო ანგარიშწორების ფორმით ლარში.
- ანგარიშსწორება განხორციელდეს საბოლოო ინსპექტირების დასკვნის, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშფაქტურის (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან) საფუძველზე, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღის განმავლობაში.

პრეტენდენტის ხელმოწერა და ბეჭედი (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) _____

პრეტენდენტის შეთავაზება

1	პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:	
	ხელმძღვანელის თანამდებობა, სახელი და გვარი:	
	პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:	
	საიდენტიფიკაციო კოდი:	
	პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:	
	ელექტრონული მისამართი:	
	ბანკი:	
	ბანკის კოდი:	
	ანგარიშის ნომერი:	
2	სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი:	
3	ინფორმაცია მომსახურების მიწოდების პირობებისა და ვადის შესახებ (ტექნიკური დოკუმენტაციით დადგენილ მოთხოვნებზე სრული თანხმობა):	

პრეტენდენტის ხელმოწერა და ბეჭედი (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) _____

დანართი №5

ინფორმაცია შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადების შესახებ

ჩვენს მიერ შესრულებულ სამუშაოებზე ნორმალური ექსპლუატაციის პირობებში ვავრცელებთ გარანტიას 5 (ხუთი) წლის ვადით.

პრეტენდენტის ხელმოწერა და ბეჭედი (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) _____

დანართი №6

ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოს შესრულების შესახებ

№	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების (საგანი) (*)	ხელშეკრულების ღირებულება	შენიშვნა
1				
2				
3				
.....				
.....				

(*) მიმწოდებელს ბოლო ორი წლის (2014–2015წ) განმავლობაში ჯამში უნდა გააჩნდეს არანაკლებ 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარის სამშენებლო–სარემონტო სამუშაოების გამოცდილება, რაზეც მან უნდა წარმოადგინოს შესაბამისი შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტები (ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები ან სხვა შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები).

საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია უზრუნველყოს წარმოდგენილი ინფორმაციის გადამოწმება

პრეტენდენტის ხელმოწერა და ბეჭედი (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) _____